შალვა ტაბატაძე
ნათია ნაცვლიშვილი

ინტერკულტურული განათლება

2008

სამეცნიერო რედაქტორი: **ნინო ცინცაძე**

საკონსულტაციო საბჭო: **სოფო გორგოძე**
პაატა სირბილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თამარ გოდერძიშვილი**

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

განათლების ინტერნაციონალიზაცია 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა არამარტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, არამედ სამთავრობო სტრუქტურებისთვისაც. გლობალიზაციის პროცესი, საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენტული ბაზრის პირობები განათლების ინტერნაციონალიზაციის მთავარი ფაქტორებია. ასეთ ვითარებაში, საგანმანათლებლო სისტემისა და დაწესებულებების სოციალური პასუხისმგებლობაა, შექმნას ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მოამზადებს და გახდის მოსწავლეს კონკურენტუნარიანს საერთაშორისო შრომით ბაზარზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც მზად იქნება, იცხოვროს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან მსოფლიოში და იმუშაოს მულტიკულტურულ და მრავალფეროვან შრომით დაწესებულებებში. ყოველივე ამის აუცილებელ წინაპირობას კი ინტერკულტურული განათლება წარმოადგენს.

შესავალი

სოციალური ურთიერთობების შედეგად, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი იზიარებს ერთმანეთის ცოდნას, დამოკიდებულებებს, ღირებულებებსა და რწმენას და აყალიბებს ღირებულებათა იერარქიას. ასე იქმნება კულტურა. თუმცა ღირებულებათა ეს იერარქიაც შესაძლებელია შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ თავად ტერმინი **კულტურა** და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების თემატიკის განხილვა ხშირად იწვევს დებატებს, რადგან ამ ტერმინს ყველა თავისებურად აღიქვამს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შევეხოთ კულტურისა და სასწავლო პროცესის ურთიერთმიმართების საკითხებს.

კულტურას სწავლობს არაერთი სამეცნიერო დისციპლინა, მაგალითად, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ბიზნეს-ეკონომიკა და სამხედრო მეცნიერებებიც კი. თუკი ყველა ამ სამეცნიერო დარგს გადავხედავთ, ტერმინ „კულტურის“ ასობით განსხვავებული განმარტება შეგვხვდება. რა თქმა უნდა, ყველა ეს განმარტება არ არის ადეკვატური სასწავლო პროცესისა და კულტურის უშუალოდ დასაკავშირებლად. თუმცა, ამ განმარტებებს აერთიანებს ის, რომ „კულტურა არის ადამიანების მიერ შექმნილი გარემო“. კულტურა გამოხატავს ადამიანის ფიქრებს, იდეებს, ადამიანთაშორისი ურთიერთობების მახასიათებლებს. იგი არის სოციალური ქმედებების, რწმენის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მთლიანობა, რომელიც შექმნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად. კულტურის მთავარ შემადგენელ ელემენტებად მოიაზრება გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია და ისტორია.

სხვადასხვა სოციოკულტურული ჯგუფი სამყაროს სხვადასხვანაირად აღიქვამს და ამის მიხედვით ყალიბდება განსხვავებული კულტურული რწმენები და დამოკიდებულებები. კულტურას ხშირად ადარებენ აისბერგს. წყლის ზედაპირზე აისბერგის მხოლოდ 10%-ის დანახვაა შესაძლებელი, ხოლო აისბერგის 90 % წყალშია დამალული. აისბერგის მსგავსად, კულტურის ყველაზე შინაარსობრივი ნაწილია შეუმჩნეველი და მას კულტურის

სუბიექტურ ნაწილს უწოდებენ, ხოლო ხილულ ნაწილს – ობიექტურს.

კულტურის სუბიექტური კომპონენტები არის კულტურის ვიზუალურად და მატერიალურად შეუმჩნეველი ასპექტები, კერძოდ, დამოკიდებულებები, ღირებულებები, ქცევის წესები და ნორმები, სწავლის სტილი, სოციალური როლების იერარქია და ა.შ. ხშირად სწორედ კულტურის სუბიექტური ასპექტები წარმოქმნის ინტერკულტურულ გაუგებრობებს და სწორედ მათზე უნდა მოხდეს ფოკუსირება მულტიკულტურული თუ ინტერკულტურული განათლების დროს.

კულტურის ობიექტური კომპონენტები მოიცავს ჯგუფისათვის დამახასიათებელ ვიზუალურად და მატერიალურად ხელშესახებ ელემენტებს, მაგალითად, ენას, რომელზეც ლაპარაკობენ; ტრადიციებსა და რიტუალებს, რომელთაც იცავენ; ტანსაცმელს, რომელსაც ატარებენ; საჭმელს, რომელსაც მიირთმევენ და ა.შ. ყველა ეს ელემენტი ადვილად შესამჩნევია და მათი დანახვა ყველას თანაბრად შეუძლია. სწორედ ობიექტური კულტურის ელემენტები იგულისხმება ხშირად, როდესაც საუბარია კულტურულ განსხვავებებზე.

დადგენილია კულტურული იდენტობის, თვითმყოფადობის თორმეტი წყარო, რომელიც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე (იხ. სქემა გვ. 6).

კუშნერი, მაკლილანდი, საფორდი, 2006, გვ. 70



რა თქმა უნდა, ამ თორმეტ წყაროს გააჩნია გადაკვეთის წერტილები. ინდივიდის კულტურული იდენტობა (ღირებულებები, რწმენა, ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) ყალიბდება ამ თორმეტი წყაროს მიმართ არსებული გამოცდილებით. აღნიშნულ გამოცდილებას კი ინდივიდი ისეთ საზოგადოებრივ სტრუქტურებთან, სოციალურ ინსტიტუტებთან ურთიერთობით იძენს, როგორიცაა ოჯახი, ეკლესია, სამუშაო ადგილი, სკოლა, მედიასაშუალებები და ა.შ. (იხ. სქემა). ასე ყალიბდება ინდივიდის კულტურული ცოდნა.

კუშნერი, მაკკლილანდი, საფორდი, 2006, გვ. 76



მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს სოციალიზაცია და რა ეტაპებს მოიცავს იგი. სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ეუფლება ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფისათვის მისაღებ ნორმებს. ეს ნორმები შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლას, სოციალური როლების ცოდნას და ამ როლების შესაბამის ქმედებას, ფიზიკური და სოციალური გარემოს ასპექტების სპეციფიკურ აღქმასა და გააზრებას.

სოციალიზაციის პროცესი სამ ეტაპად იყოფა:

1) ბავშვის აღზრდა ოჯახის ან სხვა მომვლელის მიერ;

2) პროცესში ისეთი სოციალური ინსტიტუტების ჩართვა, როგორიცაა სკოლა, სამეზობლო, თანატოლთა წრე, ტელევიზია, ეკლესია და ა.შ.

3) ზრდასრულთა სოციალიზაცია, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ახალ სოციალურ როლებთან თუ სიტუაციებთან ადაპტაციას. ასეთი ტიპის სოციალიზაციას განეკუთვნება, მაგალითად, ქორწინება, მშობლის ფუნქციების გათავისება, საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წასვლა, ახალ სამუშაოზე გადასვლა და ა.შ.

აუცილებელია, რომ პედაგოგმა გაითვალისწინოს სოციალიზაციის ეტაპების სპეციფიკა და ის, თუ რა ახდენს გავლენას, ზოგადად, სოციალიზაციის პროცესზე (მაგ. ფიზიკური თავისებურებები). როგორც ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი აღნიშნავს, სწავლა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი იმ ცოდნიდან იწყება, რომელიც ბავშვს უკვე გააჩნია. შესაბამისად, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს არამხოლოდ კულტურული სოციალიზაციის ზოგადი ასპექტები, არამედ უნდა იცნობდეს თითოეული მოსწავლის კულტურულ

მახასიათებლებს, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მათი სოციალიზაცია.

კულტურული ცოდნის დაგროვების პროცესის უფრო კარგად აღსაქმელად გთავაზობთ სქემას, სადაც შეჯამებულია ეს პროცესი და გვიჩვენებს მის კომპლექსურობას, განსაკუთრებით მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

კუშნერი, მაკკლილანდი, საფორდი, 2006, გვ. 85



როგორც სქემებიდან ჩანს, კულტურის წყაროები სოციალიზაციის სხვადასხვა ინსტიტუტის მეშვეობით აყალიბებენ ინდივიდის კულტურულ იდენტობას. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ახსოვდეთ, რომ კულტურული იდენტობა მკვეთრად განსხვავებულია როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე კულტურის შიგნითაც. კულტურულმა სხვაობებმა შეიძლება წარმოშვას გარკვეული გაუგებრობა ან კონფლიქტი სკოლასა თუ სწავლების პროცესში. ინტერკულტურული განათლება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, გაუგებრობების აღმოფხვრასა და აცილებას და, მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის, რომ კულტურული სხვაობები პედაგოგმა კლასში გამოიყენოს, როგორც რესურსი უფრო ეფექტური და საინტერესო სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ინტერკულტურული მიდგომა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მასწავლებელი იყოს **ყველა მოსწავლის მასწავლებელი** და არამხოლოდ იმ მოსწავლეთა მასწავლებელი, რომლებიც უფრო ახლოს დგანან მის კულტურულ იდენტობასთან.

უმცირესობები

ტერმინი „უმცირესობა“ სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება იქნას გამოყენებული: ადგილის, ენის, რელიგიისადმი კუთვნილების ნიშნით, მაგრამ ყველაზე ხშირად მასში მოიაზრება ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელიც განსხვავებულ კულტურულ არეალში დიდი ხნის (ხშირად საუკუნეების) განმავლობაში ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული თუ სხვა სახის სხვაობების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, გლობალიზაციის პროცესმა უმცირესობათა წარმომადგენელ მოსწავლეებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მიდგომები მნიშვნელოვნად შეცვალა.

მრავალფეროვნება, რომელიც ჯგუფებსა თუ ინდივიდებში ვლინდება, დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. მრავალფეროვნება, იქნება ეს ინდივიდუალური, კულტურული, რელიგიური და ა.შ. საჭიროებს ამ სხვაობების აღქმისა და მიღების უნარს, რომელიც გამორიცხავს კონფლიქტს, ძალადობას, ზოგადად, ადამიანის უფლებების შელახვას და ხელს უწყობს თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას. განათლების ინტერკულტურული მიდგომებიც, რომელიც სწორედ მრავალფეროვნებაზეა აგებული, მოიცავს „ჰარმონიული თანაცხოვრების" სწავლებასა და დემოკრატიული ცნობიერების პრინციპებს და მიმართულია მშვიდობიანი, ანტიდისკრიმინაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებისაკენ.

ევროპის უმრავლეს ქვეყანაში უმცირესობების საგანმანათლებლო პროგრამები თუ მათთვის განკუთვნილი სკოლები მოსწავლეებს ბილინგვურ (ორენოვან) განათლებას ან ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებს (მშობლიურ ენაზე) სთავაზობენ, რომლის შინაარსიც კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებს მოიცავს. ამ ფონზე, უმცირესობათა უფლებების დამცველი კანონმდებლობა და საგანმანათლებლო მიდგომები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

საქართველო და ინტერკულტურული განათლება

საქართველოს კონტექსტში საკმაოდ მნიშვნელოვანია ინტერკულტურული განათლების დანერგვა, რადგან საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქართველები შეადგენენ მოსახლეობის საერთო რაოდე-

ნობის 83,8 %-ს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები 15,2 %-ს. ფაქტობრივად, არსებობს 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად განსახლებულია განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები. ეს რეგიონებია: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ქისტები კომპაქტურად სახლობენ კახეთში (პანკისის ხეობა), თუმცა ქისტები რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 7 %-ს შეადგენენ. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული, შერეული განსახლებები, როგორებიცაა რუსები, ბერძნები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, უკრაინელები და სხვ. საქართველო რელიგიურადაც მრავალფეროვანი სახელმწიფოა, სადაც სახლობენ განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლები, უფრო მეტიც, ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები არიან. საქართველოში მდიდარია ლინგვისტური მრავალფეროვნებაც, დომინანტი ენაც სხვადასხვა დიალექტური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

საქართველოში ბოლო წლებში არსებული მიგრაციული პროცესების ანალიზისას ნათელი ხდება საქართველოში შემოსულ უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ეს რეალობა უნდა აისახოს საგანმანათლებლო სისტემაშიც. აღსანიშნავია აგრეთვე ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ლტოლვილი მოსახლეობა, რომელიც განსახლებულია პანკისის ხეობაში.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველოში რამდენიმე მწვავე ეთნიკური კონფლიქტი მოხდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინტერკულტურული განათლების ასპექტების დამკვიდრების აუცილებლობაზე, რადგან ინტერკულტურული განათლება კონფლიქტის მოგვარებისა და პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კონ-

ფლიქტის შედეგად საქართველოში გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა რიცხვი. მათი საჭიროებების,ისევე როგორც მათი განათლებისათვის აუცილებელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში.

ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაშიც. საქართველოში 265 არაქართულენოვანი საჯარო სკოლაა, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11, 96 %-ს შეადგენს.

არაქართულენოვანი სკოლები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული (ცხრილი 1. გვ. 14)

მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების მსგავსად საჯარო სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობაც მრავალფეროვნებით ხასიათდება. არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების რაოდენობა და ხვედრითი წილიც საკმაოდ მაღალია. არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8,79 %-ს შეადგენს.

მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა რაოდენობაც. საქართველოში მომუშავე არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგების გადანაწილება რეგიონების და სკოლის ტიპის შესაბამისად შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 2. გვ. 15).

ცხრილი 1.

რეგიონი	აზერბაი-ჯანული	სომხური	რუსუ-ლი	ოსური	სომხურ-აზერბაი-ჯანული	სომხურ-რუსული	აზერბაიჯანულ-რუსული	ოსურ-რუსული	**სულ**
ქვემო ქართლი	95	22	11	0	2	2	2	0	**134**
სამცხე-ჯავახეთი	0	98	4	0	1	1	0	0	**104**
თბილისი	1	2	10	0	0	4	0	0	**17**
მცხეთა-მთიანეთი	0	0	2	2	0	0	0	0	**4**
კახეთი	3	0	1	0	0	0	0	0	**4**
იმერეთი	0	0	2	0	0	0	0	0	**2**
სულ:	**99**	**122**	**30**	**2**	**3**	**7**	**2**	**0**	**265**

ცხრილი 2.

რეგიონი	აზერბ.	სომხური	რუსუ-ლი	ოსური	სომხურ-აზერბ.	სომხურ-რუსული	აზერბ. რუსუ ლი	ოსურ-რუსული	**სულ**
ქვემო ქართლი	2641	443	281	0	43	47	46	0	**3501**
სამცხე-ჯავახეთი	0	2141	136	0	14	13	0	0	**2304**
თბილისი	18	50	337	0	0	167	0	0	**572**
მცხეთა-მთიანეთი	0	0	27	25	0	0	0	0	**52**
კახეთი	60	0	12	0	0	0	0	0	**72**
იმერეთი	0	0	40	0	0	0	0	0	**40**
სულ:	**2719**	**2634**	**833**	**25**	**57**	**227**	**46**	**0**	**6541**

მრავალფეროვნების დადებითი მხარეები სწავლების პროცესში

მრავალფეროვნება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის რესურსს წარმოადგენს და, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ხელს უწყობს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მომზადებული მოქალაქის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ძველად მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში მრავალფეროვნება ნეგატიურ კონტექსტში აღიქმებოდა. ითვლებოდა, რომ მრავალფეროვნება ერთგვარი პრობლემაა. მიდგომას, რომ განსხვავებული კულტურული ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული გამოცდილება და ხედვა, რაც სასარგებლოა დომინანტი კულტურული ჯგუფის მოსწავლეებისთვისაც, არ ჰქონდა ფართო მხარდაჭერა. თუმცა გლობალიზაციის პროცესმა და საჭიროებამ, რომ მოსწავლეები უნდა მოემზადონ პლურალისტურ და მრავალფეროვან მსოფლიოში საცხოვრებლად, რადიკალურად შეცვალა მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება და ნათლად გამოკვეთა ინტერკულტურული განათლების აუცილებლობა.

მრავალფეროვნების საგანმანათლებლო პარადიგმა ხაზს უსვამს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე მკაფიო არგუმენტი ინტერკულტურული განათლების მხარდასაჭერად. მრავალფეროვან გარემოში ინტერკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით მოსწავლეს უვითარდება:

ა) მრავალმხრივი ხედვა;
ბ) კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;
გ) საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემა.

ეს მოსაზრება დადასტურებულია არაერთი საგანმანათლებლო ექსპერტისა და მეცნიერის კვლევებით. მეცნიერები მრავალფეროვნების დადებით მხარეებს ძირითადად ორ კატეგორიად ყოფენ:

1) სასწავლო (აკადემიური) შედეგები;
2) დემოკრატიული შედეგები.

დღესდღეობით ყველა თანხმდება სასწავლო გარემოში მრავალფეროვნების დადებით მხარეებსა და ინტერკულტურული განათლების საჭიროებაზე. თუმცა სწავლების პროცესში მთავარი პრობლემა მრავალფეროვნების ეფექტურად მართვა და ინტერკულტურული განათლების სტრატეგიების სწორად გამოყენებაა, რაც საკმაოდ რთულად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან, გადაულახავ გამოწვევად რჩება საკითხის კომპლექსურობა, რომელსაც კულტურული სხვაობების სიმრავლე განაპირობებს.

კულტურული სხვაობების მართვის სტრატეგიები:

- ასიმილაციის მოდელი
- ინტეგრაციის მოდელი
- მულტიკულტურული მოდელი
- ინტერკულტურული მოდელი

ასიმილაციის მოდელი

ასიმილაციის მოდელი გულისხმობს საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დათმობას და სხვა კულტურასთან შერწყმას. ასიმილაციის მოდელი ეფუძნება უცხოელ თუ უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეთა „კულტურული დეფიციტის“ ჰიპოთეზას, რის მიხედვითაც ოჯახი თუ სოციოკულტურული კონტექსტი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს აუცილებელი კულტურული თუ კოგნიტური უნარებით; ბავშვი ნელ-ნელა კარგავს თავის კულტურულ თვითმყოფადობას და ერთიანი, ხშირად „ნაციონალური კულტურის“ ნაწილად იქცევა.

ინტეგრაციის მოდელი

ამ მოდელის მიზანია განსხვავებულ კულტურათა ინტეგრაცია საერთო კულტურასთან. მის მიხედვით, აუცილებელია სხვაობათა თვითმყოფადობის დაფასება და ყველა კულტურული ჯგუფის მშვიდობიანი და თანაბარუფლებიანი ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებში. აქ არ ისმება დომინანტ კულტურასთან სხვაობათა ასიმილაციის საკითხი, მაგრამ ღირებულებათა ანალიზის ფონზე უპირატესობა მაინც დომინანტი კულტურის მახასიათებლებს ენიჭება. ამასთანავე, ინტეგრაციის მოდელი ყოველთვის არ იძლევა უმცირესობათა სტატუსის განსაზღვრის საშუალებას.

მულტიკულტურული მოდელი

ეს მოდელი, ძირითადად, მაშინ გვხვდება, როცა ეთნიკური უმცირესობები უარს აცხადებენ უმრავლესობასთან ასიმილაციაზე. მისი ამოცანაა, განამტკიცოს პატივისცე-

მისა და ტოლერანტობის უნარები უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, ხელი შეუწყოს მათ შორის ნდობის გაჩენასა და სოციალურ მობილობას უმცირესობათა ჯგუფებში.

ინტერკულტურული მოდელი

ინტერკულტურული მიდგომა, ზოგადად, კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება. მისი პირდაპირი ინტერესის საგანია კულტურა,როგორც ინდივიდის ქმედებით,სტრატეგიებით, დინამიკითა და მანიპულაციებით მიღებული ერთგვარი შედეგი, რომლის საშუალებითაც ინდივიდი საკუთარ იდენტობას ამტკიცებს. იგი, კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით,ეფუძნება ინდივიდებისა და ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებებს.

ახალი გამოწვევებისა და თანამედროვე ადამიანის წინაშე გადაშლილი ახალი პერსპექტივების ფონზე, საერთაშორისო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თითოეული ინდივიდის უფლებას, იცხოვროს ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულ გარემოში. რადგან ინტერკულტურული განათლება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში სამ სხვადასხვა (ადგილობრივ,ეროვნულ და გლობალურ) საფეხურს შორის შემაერთებელი ხაზი გაევლოს.

„ინტერკულტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლება“

აღსანიშნავია, რომ ტერმინებს შორის „ინტერკულ-ტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლე-ბა“ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეს ორი ტერმინი ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა თანამედროვე განათლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ მკვეთრად მიჯნავენ. ერთ-ერთი ყვე-ლაზე მარტივი და მკაფიო განსაზღვრება ამ ორი ტერ-მინისა ეკუთვნის კამილერის (1992), რომელიც აღნიშნავს, რომ „მულტიკულტურული“ არის აღწერითი ტერმინი, რომელიც უბრალოდ აფიქსირებს პლურალიზმის[1] არსე-ბობას და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხის ფაქტობრივ თანაცხოვრებას, ხოლო ტერმინი „ინტერკულ-ტურული“ ასახავს არსებულ ინტერაქციას განსხვავებუ-ლი კულტურის მქონე ხალხს შორის.

განათლების სისტემა მხედველობაში უნდა იღებდეს საზოგადოების მულტიკულტურულ მახასიათებლებს და ხელს უნდა უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობასა და პოზიტიურ ინ-ტერაქციას.

„მულტიკულტურული განათლება“ ემსახურება სწავ-ლებას სხვადასხვა კულტურის შესახებ, რათა მიღწეულ იქნას „მიმღებლობა“ ან, სულ მცირე, „ტოლერანტობა“[2]

1.პლურალიზმი [ლათ. pluralis მრავლობითი] - 1. (ფილოს.). იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს სამყაროს ერთიანობას და ამტკიცებს, რომ მას საფუძვლად უდევს მრავალი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სუ-ლიერი არსი. 2. (პოლიტ.). სახელმწიფოს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა.

2.ტოლერანტობა [ლათ. tolerans (tolerantis) მომთმენი, შემწყნარებელი] - (წიგნ.). სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა.

განსხვავებული კულტურის მიმართ. ხოლო „ინტერკულ-ტურული განათლება“ სცილდება სხვადასხვა კულ-ტურათა პასიური თანაცხოვრების მიღწევის ამოცანას და მიზნად ისახავს შექმნას მდგრადი წინაპირობა, რომ მულტიკულტურული საზოგადოების თანაცხოვრება დაე-ფუძნოს ურთიერთგაგების, პატივისცემისა და დიალოგის პრინციპებს.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი „მულტიკულტურული“, იგივე „მრავალკულტურული“, გულისხმობს ფაქტობრივი სიტუაციის გადმოცემას, აღწერას, მრავალი კულტურული ჯგუფისგან შემდგარი (რომელთა კავშირი განპირობე-ბულია გარკვეული ღირებულებებითა და ნორმებით) სა-ზოგადოების რეალური სურათის გადმოცემას.

მაშინ, როცა ტერმინი „ინტერკულტურული” გამოხ-ატავს მიმართულებას, მიზანს; გულისხმობს დიალოგის, აქტიური თანამშრომლობის, ურთიერთდამოკიდებულებ-ის აუცილებლობას და გვიხატავს სასურველ, იდეალურ სურათს, რომლის მიღწევის საშუალებასაც თავად წარ-მოადგენს.

მულტიკულტურალიზმი ამცირებს უთანასწორობითა და განსხვავებული იდენტობების ნიშნით გამოწვეული კონფლიქტების რიცხვს. თუმცა, მულტიკულტურული მიდგომით, თითოეული ინდივიდი თავისი კუთვნილებ-ის ჯგუფის ელემენტს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევა-ში დიდია რისკი იმისა, რომ ინდივიდი თავის ჯგუფში ჩაიკეტოს და ხელი შეუშალოს სხვა ჯგუფებთან ინტე-გრაციას. მულტიკულტურალიზმი საზოგადოებას „მო-ზაიკურად“ წარმოგვიდგენს. ინტერკულტურალიზმი კი კულტურული სხვაობების ანალიზის საშუალებაა.

მულტიკულტურული განათლება შეიძლება განვიხ-ილოთ, როგორც დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებ-ულებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელსაც წარმატე-ბით იყენებენ კულტურული პლურალიზმით განმტკიცებულ,

სხვაობებით მდიდარ საზოგადოებაში. იგი მიმართულია აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, რომ მოსწავლემ უკეთ გაიაზროს, რა ხდება მის სასწავლო გარემოში; განივითაროს განსხვავებული კულტურების კრიტიკული ანალიზის უნარი; შეუთავსოს საკუთარი კულტურული იდენტობა განსხვავებული იდენტობის აღქმას და იზრუნოს საკუთარი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მულტიკულტურალიზმს შეუძლია ხელი შეუწყოს განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრებას, სეგრეგაციისა[1] და დისკრიმინაციის[2] ელემენტების გამორიცხვით. ამ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს შორის კავშირების მოშლის შემთხვევაში კი იგი თავის მნიშვნელობას კარგავს. ზოგიერთ საზოგადოებაში მულტიკულტურალიზმის, როგორც საგანმანათლო პოლიტიკის მიღება, სოციალური სტრუქტურებისთვის გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. უმცირესობათა ზოგი ჯგუფისთვის მათ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად ძალიან მტკივნეულია და ასეთ დროს ნებისმიერი ქმედება და გადაწყვეტილება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

რაც შეეხება ტერმინს „ინტერკულტურული“, შინაარსობრივად იგი აუცილებლად მოიცავს ინტერაქციის, გაცვლა-გამოცვლის,ბარიერების მოშლისა და ჭეშმარიტი სოლიდარობის დატვირთვას, რასაც პრეფიქსი „ინტერ“ მიუთითებს. ხოლო „კულტურაში“ მოიაზრება მთელი ის ღირებულებები, ცხოვრების წესები, ადამიანური არსის სიმბოლური გამოხატულებები, რომელიც ფართომასშტაბიან კონტექსტში კონკრეტულ პიროვნებასა თუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეხება.

1.სეგრეგაცია [ლათ. segregatio გამოყოფა] - რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე, ფერადკანიანთა იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისაგან.

2.დისკრიმინაცია [ლათ. discriminatio განსხვავება] და დისკრიმინირება- ცალკეული პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის სახელმწიფოს და ა.შ. უფლებების შეზღუდვა, თანასწორუფლებიანობის მოსპობა.

ინტერკულტურული განათლების მიზანი

ნებისმიერ სივრცესა და საზოგადოებაში ინტერკულტურული განათლება ძირითადად სამ მიზანს ემსახურება. ესენია:

- კულტურული პლურალიზმის, როგორც საზოგადოებრივი რეალობის მიღება და გაცნობიერება;
- თანასწორუფლებიანი და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ჰარმონიული ინტერეთნიკური ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა.

ინტერკულტურული განათლების მიდგომები ხშირად, ქვეყნისა თუ საზოგადოების თავისებურებიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია. 1975-1977 წლებში ევროსაბჭომ დაადგინა ინტერკულტურული განათლების რამდენიმე მთავარი პრინციპი, როგორიცაა, მაგალითად: ინტერკულტურული დიალოგი, ეთნოცენტრიზმის უარყოფა, კულტურული შესაბამისობა და მისი გარდაქმნა სასკოლო აქტივობად, იმიგრირებული ბავშვების ინტერაქციის მიზნით. მას შემდეგ, ევროსაბჭოს რეკომენდაციით, წევრ ქვეყნებში ინტერკულტურული საგანმანათლებლო პროგრამები რამდენიმე მიმართულებით გავრცელდა, მაგალითად: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, უმცირესობები: კულტურული და საგანმანათლებლო ასპექტები (1997), სამოქალაქო განათლება (2000), განათლების ახალი ინტერკულტურული გამოწვევა: რელიგიური სხვაობები (2002) და ა.შ.

ინტერკულტურულობა გათვლილია ინდივიდებისა თუ ჯგუფების ინტეგრაციასა და იდენტობათა ურთიერთმიმართებაზე. მისი მიზანია როგორც უმრავლესობის, ასევე

უმცირესობების მოზარდთა წარმატებული ინტეგრაცია თანამედროვე მრავალეთნიკურ საზოგადოებაში და მათი ჩამოყალიბება ინტერკულტურული ორიენტაციის მქონე პიროვნებებად. ინტერკულტურული აღზრდა მიმართულია მოსწავლეებში ჰუმანურობის, პასუხისმგებლობის, სოლიდარობის, ურთიერთგაგების, დემოკრატიისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლხედვისა და ქცევის ჩამოყალიბებისკენ.

ინტერკულტურული განათლების მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი კომპეტენციები და შეუქმნას პირობები ინდივიდუალური მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად. ინტერკულტურულობა ეხება ყველა მოსწავლეს, იმიგრანტი იქნება თუ ადგილობრივი, უმრავლესობის წარმომადგენელი თუ უმცირესობის.

ინტერკულტურული სწავლების ძირითადი პრინციპებია:

- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების (პლურალიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატია) შეთვისება-აღიარება;
- კულტურული თვითიდენტობის აღქმის ხელშემწყობი პირობების შექმნა - უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურული მახასიათებლების შენარჩუნება;
- ყველა კულტურის თანაბრად დაფასება,კულტურული დიალოგისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა;
- წარმატების მისაღწევად უმრავლესობისა და უმცირესობებისთვის თანაბარი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ინტერაქციული სოციოლოგია კულტურას განიხილავს, როგორც განსხვავებული ინტერესებისაგან შექმნილი ორგანიზაციის დინამიკას. ამ მიდგომის მიხედვით, ინტერკულტურული განათლება მოიაზრება, როგორც ინტერაქციის, თანამშრომლობისა თუ უფრო გლობალური კავშირების შედეგად მიღებული მრავალმხრივი ცოდნის გადაცემა და, როგორც აღვნიშნეთ, მიმართულია განურჩევლად ყველა მოსწავლისკენ. პლურალიზმი მოიაზრება, როგორც განათლების ღირებულება და საბოლოო მიზანი. ინტერკულტურული ფსიქოლოგია შეისწავლის ინტერაქციას ინდივიდებსა და განსხვავებული კულტურის ჯგუფებს შორის, მათ სტერეოტიპებს, ღირებულებებსა და ჩვეულებებს (მაგალითად, როგორ ახერხებს ინდივიდი საკუთარი კულტურული კონტექსტიდან გამოსვლას და განსხვავებულ კულტურულ გარემოში წარმატებით თვითრეალიზაციას). ინტერაქცია განისაზღვრება, როგორც ურთიერთდამოკიდებულება უმრავლესობისა და უმცირესობის კულტურებს შორის და მათი განუყოფლობა საერთო გლობალური კონტექსტისგან.

ინტერკულტურული განათლება მრავალფეროვნებას განიხილავს, როგორც ნორმას, და არა როგორც ბარიერს, რომლის გადალახვაშიც ადამიანს დახმარება სჭირდება. მრავალფეროვნება, სხვაობების მიუღებლობისა თუ ავტორიტარიზმის შემთვევაში, კონფლიქტის მიზეზად შეიძლება იქცეს.

ინტერკულტურული განათლების მთავარი პრინციპია, ყოველ მოსწავლეს გაუჩინოს ჯგუფში მუშაობის მოტივაცია, ამ მუშაობის საფუძველს სწორედ ერთმანეთში აღმოჩენილი მსგავსი სახასიათო შტრიხები უნდა ქმნიდეს (გვ. 55), ამით უნდა დაიძლიოს სიძნელეები, მაგრამ ისე, რომ სხვაობა არავითარ შემთხვევაში არ იყოს მიჩნეული სამარცხვინო ლაქად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერკულტურული განათლება არაა მიმართული მხოლოდ უცხოელი ან უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისკენ. იგი ეხება ყველა ბავშვს, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული და წარმოადგენს არა უთანასწორობის კომპენსაციის საშუალებას, არამედ მისი მიზანია თანასწორობის სწავლება თანასწორუფლებიან გარემოში.

ტერმინი **ინტერკულტურული** ანუ **კულტურათშორისი,** მასშტაბურობის გამო, ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. პირდაპირი გაგებით, იგი, სხვა კულტურასთან ურთიერთობისას, წარმოადგენს ცოდნის, შეხედულებების და ქცევის ჩამოყალიბების ინდივიდუალურ პროცესს. თუმცა, უფრო ხშირად, კულტურათშორისი სწავლება უფრო ფართო კონტექსტში განიხილება და აღნიშნავს ცნებას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა წარმომავლობისა და კულტურული ღირებულებების მქონე ადამიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

ინტერკულტურული განათლება და რელიგია

განსხვავებულობა ხშირი დისკუსიის საგანია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რელიგიას და მის მიმართებას კულტურასთან. იმ განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანებს რელიგიის მიმართ აქვთ, აუცილებელია, რომ ინტერკულტურული განათლება მყარად დაეფუძნოს ეთიკის პრინციპებს.

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის საზოგადოებრივი რეალობა დინამიური და მრავალფეროვანია. ძნელია, შეაფასო ინდივიდი მხოლოდ მისი კულტურული კუთვნილების, ეთნიკური წარმოშობის თუ რელიგიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პიროვნების საიდენტიფიკაციოდ, შეიძლება მისი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე რელიგიური ცნობიერება.

ინტერკულტურული განათლების ფარგლებში რელიგია წარმოადგენს ინტერესს არამარტო იმ შეუცნობლის მიმართ, რომელსაც იგი უნივერსალურად წარმოიდგენს, არამედ, ზოგადად, ადამიანური ბუნების საერთო გამოცდილების მიმართაც. როგორც აღვნიშნეთ, იგი უნდა დაეფუძნოს ეთიკის პრინციპებს, განათლების უნივერსალურ ღირებულებებთან შეთანხმებით.

ინტერკულტურული თვალსაზრისით, ეთიკა განათლებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მის აუცილებელ პირობას და ფუნდამენტს წარმოადგენს. მხოლოდ ეთიკური ღირებულებების პრაქტიკასა და თეორიულ ცოდნაზე თანაბრად გადანაწილება იძლევა იმის

საშუალებას, რომ განათლებამ გეზი საერთო კულტურული ჰარმონიისკენ აიღოს.

განათლება, რომელიც არ უკავშირდება, აცდენილია ეთიკის პრინციპებს, წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ პრაგმატულ განათლებას, რომელიც ყოველთვის მოითხოვს უფრო მეტ მშრალ წესებს და მათ იძულებით მორჩილებას, ვიდრე ინტერესსა და აზროვნებას. თუ სამოქალაქო საზოგადოება არ ცდილობს ეთიკის პრინციპების აღიარებას, ეს ნიშნავს, რომ მისი რწმენა არაა სრულყოფილი, რაც ადვილად ქმნის კონფლიქტის წინაპირობას.

რელიგიური სხვაობების განათლება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს რელიგიის გააზრებას, არამხოლოდ როგორც ერთგვაროვანი რწმენის სისტემისას. ტრადიციებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის კონტექსტის გათვალისწინებით, მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს მოსწავლეს ანალიზისა და აზროვნების კომპეტენცია, მისსავე რწმენასა და ღირებულებებზე დაფუძნებული, რათა შეძლოს კრიტიკული რეფლექსიის უნარის გამომუშავება.

სკოლები, უპირველეს ყოვლისა, იქით უნდა იყოს მიმართული,რომ გამოიყენოს ინტერკულტურული განათლება ყოველგვარი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის[1] და რასიზმის (ინსტიტუციური იქნება ეს თუ კულტურული) წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად და გამოუმუშაოს მოსწავლეებს ტოლერანტობის, სხვაობათა მიმღებლობის და თანასწორობის პრინციპები. თუმცა, რაც უნდა მნიშვნე-

1.ქსენოფობია [ბერძ. xenos უცხო, უცხოელი და ᲐᲮᲝᲑᲝᲡ შიში] - უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი.

ლოვანი როლი ითამაშოს სკოლამ რელიგიური სხვაობების განათლებაში, ზოგადი ვითარების განმსაზღვრელი მაინც სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების პოლიტიკაა, განსაკუთრებით, ხელისუფლების, რომელიც ადგენს რელიგიური თუ კულტურული უმრავლესობის ადმინისტრირებისა და მიმართულების საკითხებს.

ინტერკულტურული მიდგომები სკოლაში

ბავშვებს ხშირად უჭირთ კულტურული სხვაობების მიღება და გაცნობიერება,მათ სწორედ ამ კუთხით სჭირდებათ დახმარება და, ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით, პედაგოგიური პრაქტიკისთვის ეს ყველაზე დიდი გამოწვევაა.

ინტერკულტურულ განათლებაში ძირითადად ორ პედაგოგიურ მიმართულებას გამოყოფენ: შინაარსზე, სასწავლო მასალაზე ორიენტირებულსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირზე (კლასი, უახლოესი გარემოცვა) ორიენტირებულს. ორივეს აერთიანებს ის, რომ მათი მიზანია, ბავშვისთვის კულტურული სხვაობა იქცეს ახალი ინტერესისა და ცნობიერების გამდიდრების რესურსად. მასწავლებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის სასკოლო თუ ოჯახური მდგომარეობა; მაღალი შედეგის მისაღწევად, სწავლების ფორმებიც თითოეული მოსწავლის კოგნიტური დონისა და საჭიროების მიხედვით უნდა შეარჩიოს. დღესდღეობით გაცილებით იოლია, მოიძიო და გაეცნო სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. თუმცა, მთავარი პრობლემა აღნიშნული სტრატეგიების სწორად გამოყენებაა. სწორი სტრატეგიის შესარჩევად მასწავლებელმა შემდეგი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს:

- რა არის ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკის ამოცანები;
- რა რეალური საჭიროებები აქვთ ჩვენს მოსწავლეებს კონკრეტულ საკლასო გარემოსა და კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაში;
- ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, გახდეს საზოგადოების სრულყოფილი წევრი და მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მას ამ უფლების რეალიზებაში;
- მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობები, ქცევის წესები, ცოდნა და ინტერესები;
- სასწავლო პროცესი მიმართული უნდა იყოს გარკვეული უნარების განვითარებაზე, და არა ინფორმაციის დაგროვებაზე.

ინტერკულტურული განათლება, ძირითადად, უმრავლესობის მიერ მართულ სასწავლო პროცესთან ასოცირდება. მასწავლებელმა თავისი სასწავლო მეთოდები მოსწავლეს უნდა მოარგოს. ამ თვალსაზრისით, სხვაობათა მიმღებლობა მხოლოდ მოსწავლეებს არ ეხება. მასწავლებელი, რომელიც თვითონ არ არის თავისუფალი დისკრიმინაციისა და ქსენოფობიისაგან, ვერ შეძლებს მოსწავლეებში ინტერკულტურული შეხედულებების დანერგვას.

როდესაც ინტერკულტურული განათლება მოსწავლეებს ეხება, აღიარებულია, რომ ყველაზე ეფექტური აქტიური მეთოდებია, რომელიც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ცოცხალ ურთიერთობას მოითხოვს. ნებისმიერი სამუშაო სრულდება მოსწავლეებთან თანამშრომლობით, მათ შორის თითოეული თავად განსაზ-

ღვრავს საკუთარ იდენტობას, კულტურულ კუთვნილებასა და კოგნიტურ სირთულეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ტიპისა და ბავშვის ასაკის მიხედვით იცვლება ინტერკულტურული განათლების შინაარსი: მაგალითად, თუ დაწყებით საფეხურზე ბავშვები, ძირითადად, პასიურად (მიღება - არ მიღების, საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრის გარეშე) ეცნობიან კულტურულ სხვაობებსა და მათ მახასიათებლებს, შემდეგ საფეხურზე ისინი უკვე აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას.

პედაგოგიკის ინოვაციური მიდგომები, რომლებიც მოსწავლეებს კულტურული თუ ლინგვისტური სხვაობებით გამორჩეულ საზოგადოებაში ცხოვრებაში ეხმარებიან, ხელს უწყობენ რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოფხვრას, ზრუნავენ უმცირესობების ბავშვების „პოზიტიურ“ ინტეგრაციასა და ადაპტაციაზე გარემომცველ საზოგადოებასთან, და ასეთი მიდგომებით აუმჯობესებენ განათლების ხარისხს.

ინტერკულტურული განათლების შედეგი დამოკიდებულია მასწავლებლებისა და სასკოლო პერსონალის უნარ-ჩვევებზე, მათ კვალიფიკაციასა და ეფექტურობაზე. მასწავლებელმა რომ მოსწავლეთა ეთნიკური თუ რასისტული სტერეოტიპებისგან გათავისუფლება შეძლოს, ამისათვის საჭიროა, თვითონ არ წარმოადგენდეს კულტურული სტერეოტიპების ტყვეს. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული კლასი სხვადასხვა კულტურული სტერეოტიპების შეჯახების არეალს წარმოადგენს, მასწავლებელს უნდა შეეძლოს, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაიტანოს კლასმა ეს პროცესი. უნდა შეეძლოს სოციალური და კულტურული ჰარმონიისთვის აუცილებელი პირობების სწავლება და არ უნდა აარიდოს თავი აქტუალურ და მწვავე სოციალურ პრობლემებზე საუბარს.

ინტერკულტურულმა მიდგომებმა სკოლაში შეიძლება მრავალი დისციპლინა მოიცვას, დაწყებული ისტორიითა და გეოგრაფიით, და ლიტერატურით დამთავრებული. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლების ენას.

ინტერკულტურული განათლება და ენა

გარკვეულწილად, ენა კულტურის ერთ-ერთი გამოხატულებაა. კომუნიკაცია წარმოადგენს სოციალურ და კულტურულ დინამიკას იმდენად, რამდენადაც ნიშნები, ვერბალური თუ არავერბალური, კულტურულ კუთვნილებაზე მიუთითებენ. მულტიკულტურულ კონტექსტში ბავშვისთვის ახალი ენის შესწავლა (რომელ კულტურულ გარემოშიც უხდება ცხოვრება) არამარტო ენის, არამედ კულტურის გაგებას ნიშნავს. რეალურად იგი ორი ენისა და ორი კულტურის გადაკვეთის წერტილში აღმოჩნდება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად მაჩვენებელს სწორედ სახელმწიფო ენა წარმოადგენს და მისი ცოდნა სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალებაა. აუცილებელია, რომ სახელმწიფო ენის პროპაგანდასა და მისი გავრცელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ახლდეს უმცირესობათა ენების უფლებების აღიარებაც, რათა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა იგრძნონ, რომ დაუბრკოლებლად აქვთ საკუთარი ღირებულებების დაცვის საშუალება. როცა საკითხი ეხება უმცირესობებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი დამოკიდებულება, რომელიც განპირობებულია იმის შიშით, რომ სახელმწიფოს მათი უმრავლესობასთან ასიმილირება და დასუსტება უფრო სურს, ვიდრე მათი მრავალფეროვნების პატივისცემა. ამგვარი დამოკიდებულების არიდება მხოლოდ ინფორმირების, განხილვისა და კონსულტაციე-

ბის ფართო პროგრამებით შეიძლება. აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისა და მოსახლეობის ენობრივი თუ სამოქალაქო იზოლაცია მათ გამიჯვნას, მარგინალიზაციას გამოიწვევს, რაც საზიანოა როგორც მოქალაქეებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხში წამყვანი როლი, ბუნებრივია, სკოლას ენიჭება. კვლევებმა აჩვენა, რომ ენების სწავლების გრამატიკისა და ლექსიკის დაზეპირებაზე დაფუძნებული მოძველებული მეთოდები არ არის საკმარისი და რომ ინტერკულტურულ გარემოში ბავშვები ენას უკეთესად სწავლობენ ინტერაქტიული მეთოდებით, როცა კი არ იზეპირებენ, არამედ უშუალოდ იყენებენ ენას. სწორედ ამიტომ გაჩნდა აუცილებლობა ბილინგვური (ორენოვანი) თუ მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლების დანერგვისა.

მრავალენოვანი განათლების მოდელის მიხედვით, ბავშვები, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების განურჩევლად, ერთ კლასში სწავლობენ. მრავალენოვანი განათლება ნიშნავს საგნების (და არამარტო ენების) სწავლებას ორ ან მეტ ენაზე თარგმანის გარეშე,როდესაც ბუნებრივი ენობრივი გარემო იძლევა შესაძლებლობას, ბავშვებმა არამხოლოდ ის ენები აითვისონ კარგ დონეზე, რომლებზეც სწავლობენ, არამედ საგნების შინაარსიც. ასეთი მოდელი თითოეულ ბავშვს ერთდროულად ყველა საჭირო ენაზე (მშობლიურზე, სახელმწიფოზე, ოფიციალურზე და ა.შ.) განათლების მიღებისა და მათი კარგ დონეზე ათვისების საშუალებას აძლევს. ბავშვები არამარტო ეცნობიან სხვა ხალხების კულტურასა და ენებს, იზრდებიან მრავალკულტურულ და მრავალენოვან ადამიანებად, რაც ცხოვრებაში მათ საკუთარი პოტენცია-

ლის რეალიზების უფრო მეტ შესაძლებლობებს აძლევს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამ მოდელის შემოღება ხელს უწყობს ყველა ეთნიკური ჯგუფის გაერთიანებას სახელმწიფო ენის ცოდნის მეშვეობით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოების ინტეგრაციისთვის.

მრავალენოვან განათლებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოში მრავალეთნიკური ინტეგრირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ამის მიღწევა შეიძლება უმცირესობებისთვის დახმარების გაწევით ქართული ენის მყარი ცოდნის მიღებაში და, ამავე დროს, მათი საკუთარი კულტურისა და ენის შენარჩუნებით.

ეთნოლინგვისტურ უმცირესობათა ბევრი წარმომადგენელი აცნობიერებს,რომ ქართული ენის კარგად ცოდნა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესებისა და მათი შვილებისათვის პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ინტერკულტრული უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და ძირითადი ღირებულებები

• განსხვავებული კულტურული კუთვნილების ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარი;
• კონფლიქტური სიტუაციის ანალიზისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
• როგორც საკუთარი, ასევე სხვების კულტურის შეცნობისა და პატივისცემის უნარი;
• რასისტული, ქსენოფობიური და არატოლერანტული შეხედულებების მიუღებლობის უნარი;
• ინტერესი სხვა ეთნიკური ჯგუფების ადათ-წესებისა და ღირებულებების მიმართ.

სხვაობათა ურთიერთგამამდიდრებელი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ინტერკულტურული განათლების მთავარი პრინციპად აღიარებულია ზოგიერთი ღირებულება:

• ემპათია: ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს თავი სხვის ადგილზე და გაიზიაროს სხვისი პრობლემები;
•სოლიდარობა: ინტერკულტურული განათლება არის ჰარმონიული თანაცხოვრებისა და ურთიერთმხარდაჭერის სწავლის საშუალება;
•ინტერკულტურული პატივისცემა: ინტერკულტურული განათლება მიზნად ისახავს კულტურათა შორის იერარქიის მოშლასა და მათ თანაბარუფლებიანობის ხელშეწყობას;
• ანტინაციონალიზმი: ინტერკულტურულმა განათლებამ უნდა შეძლოს,მოშალოს ქვეყნებს შორის სტერეოტიპულ შეხედულებებზე დაფუძნებული ბარიერები

და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მსოფლმხედველობის გაფართოებას.

ინტერკულტურული განათლება, უპირველეს ყოვლისა, არის განათლება ღირებულებების შესახებ, რომლის მთავარი მიზნები, ძირითადად, მიმართულია სოლიდარობისა და ტოლერანტობის გაღვივებისკენ და რომლის პრინციპებიც არსებითად მოიცავს მულტიკულტურულ თუ მულტილინგვურ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ინტერკულტურული მიდგომა გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სწავლების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს შორის აზრების გაცვლას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ცოდნისა და მოსაზრებების ფორმირებას, მოსწავლისა და მასწავლებლის საერთო გამოცდილებიდან გამომდინარე. გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც მასწავლებელს ხელს შეუწყობს კლასში ჯანსაღი გარემოს შექმნაში და გაუდვილებს მოსწავლეებთან ეფექტურ კომუნიკაციას:

- დააფასე მოსწავლის მიღწევა, რაც უნდა მცირედი იყოს;
- თუკი მოსწავლეს შეცდომაზე მიუთითებ, აუცილებლად შესთავაზე ამ შეცდომის გამოსწორებისა და პრობლემის გადაჭრის გზები;
- დააფასე მოსწავლის ნებისმიერი ქმედება, რომელიც პრობლემის მოგვარებისკენაა მიმართული, იმის მიუხედავად, ეფექტურად გეჩვენებათ თუ არა მოსწავლის მიერ დასახული პრობლემის მოგვარების გზა;
- დააფასე მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება და ხელი შეუწყე მათში დამოუკიდებლად ქმედების უნარის განვითარებას;

• მოსწავლეებთან ერთად დაადგინეთ საკლასო ოთახში ქცევის წესები და შეეცადეთ, ყველამ პატივი სცეს ყველასთან შეთანხმებულ საერთო წესებსა და ნორმებს;
• კონფლიქტის არსებობისას, ჩართეთ მოსწავლეები კონფლიქტის მოგვარების პროცესში;
• დაუთმეთ გარკვეული დრო იმ ადამიანებზე საუბარს, რომელთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჰუმანურობის განვითარებასა და კეთილდღეობას მსოფლიოს მასშტაბით;
• მოაწყვეთ სამეცნიერო გამოფენები, პროექტის პრეზენტაციები, შეკრებები და სხვა აქტივობები ინტერკულტურულ საკითხებზე, რაც მოამზადებს ყველა მოსწავლეს აქტიური ცხოვრებისთვის;
• განახორციელებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი კვლევები, რათა ხელი შეუწყოთ მათში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას და საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენის ჩამოყალიბებას.

კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის

ინტერკულტურული განათლების შესახებ მხოლოდ თეორიული საფუძვლების ცოდნა არაეფექტურია. მთავარი ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ პედაგოგებს, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ მულტიკულტურული განათლების კურსი და ფიქრობდნენ, რომ ადვილად გაართმევდნენ თავს სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებთან ურთიერთობას, სწავლების პროცესში, პრაქტიკული საქმიანობისას სერიოზული პრობლემები შეექმნათ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოქმედი თუ მომავალი პედაგოგების მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებმა გაითვალისწინონ კვლევის ეს შედეგები და თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული კურსიც შესთავაზონ მოქმედ თუ მომავალ პედაგოგებს. ამჟამად წარმოგიდგენთ ყველაზე მარტივ სიტუაციებსა და რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი აღნიშნულ შემთხვევაში.

სიტუაცია 1

ქვემოთ მასწავლებლებს ვთავაზობთ აქტივობას, რომელიც კულტურათშორის კომუნიკაციის საკითხებზე, კერძოდ კი ინტეგრაციის საკითხებზეა აგებული.[1]

აქტივობის სახელწოდება:
სკოლა ტყის პირას

1. მასალა ადაპტირებულია ბრიტანეთის საბჭოს პროექტიდან "ვიცხოვროთ ერთად" და მოგვაწოდა რუსუდან ტყემალაძემ

მასწავლებლის მასალა

აქტივობის თემაა კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას განსხვავებული ღირებულებების და შეხედულებების მქონე ადამიანების ჯგუფებს შორის. რა არის იმის მიზეზი, რომ ადამიანები უხალისოდ თმობენ ამ განსხვავებებს? რა გზები არსებობს იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ამ ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას?

აქტივობის მიზნები

• იმ გზების განხილვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ღირებულებების და შეხედულებების ადამიანების ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას და ასწავლის მათ ურთიერთპატივისცემას;
• მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარება.

სწავლების შედეგები

• მოსწავლეები გაიაზრებენ იმ საკითხებს,რომლებიც თავს იჩენს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ადამიანების ერთად ცხოვრების დროს;
• მოსწავლეები შეძლებენ ჩამოაყალიბონ ის ფაქტორები, რომლებიც მრავალკულტურულ საზოგადოებაში ადამიანების მიერ საკუთარი კულტურის შენარჩუნების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
• მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება იმსჯელონ იმ მეთოდებზე, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა კულტურული პლურალიზმი.

პროცედურა

სანამ მოთხრობის - სკოლა ტყის პირას - წაკითხვას და მის გარშემო მსჯელობას დაიწყებდეთ, მოსწავლეებს აუხსენით თუ რას ნიშნავს სიტყვები ინტეგრაცია, **ასიმილაცია, სამოქალაქო საზოგადოება** და **კულტურული პლურალიზმი.**

ინტეგრაცია ის პროცესია, რომლის დროსაც სხვადასხვა კულტურული ჯგუფების წარმომადგენლები ერთიანდებიან და მათი ქცევა, ჩვეულებები და მოქმედება ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის.

ასიმილაცია ის პროცესია, როდესაც ინტეგრაციის შედეგად უმცირესობის წარმომადგენელთა კულტურა ქრება.

სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების ის ნაწილია, რომლის წარმომადგენლები ინდივიდუალურად ან ერთად მოქმედებენ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

კულტურული პლურალიზმი ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთ საზოგადოებაში ცხოვრობენ და სადაც კანონით დაშვებულია განსხვავებული ღირებულებები და ტრადიციები.

წაიკითხეთ მოთხრობა სკოლა ტყის პირას (იხ. მოსწავლის მასალა). მოსწავლეები დააჯგუფეთ წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, იმსჯელონ ქვემოთ მოტანილ საკითხებზე. საკითხების ჩამონათვალს მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარი საკითხებიც დაამატონ:

• რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ორ ხალხს შორის კარგ ურთიერთობას?
• რამდენად ადვილი იქნება ტყეში და დაბლობზე მცხოვრებ ადამიანებს შორის არსებული განსხვავებების დაძლევა?
• რა ამოძრავებს მასწავლებელს, რომელსაც დაპირისპირებული მხარეების შერიგება უნდა? რა უნარი უნდა გააჩნდეს მას, რომ ეს მოახერხოს?
• ვის უნდა ნდომოდა სკოლის დაწვა და რატომ?

მოსწავლეებს სთხოვეთ, მოიყვანონ არგუმენტები სკოლის აღდგენის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. დაფაზე ჩამოწერეთ სკოლის აღდგენის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. რომელი მხარის არგუმენტებია უფრო ბევრი და ძლიერი?

თუ წარმოვიდგენთ, რომ აღდგენილი სკოლა საერთო იქნება, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის, რაც ამ სკოლაში მოსწავლეთა ინტეგრაციას დაეხმარება? რა უფრო შეუწყობს ხელს სკოლაში სხვადასხვა კულტურული ჯგუფების ინტეგრაციას? მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება. ეს დავალება შეიძლება წერითი საშინაო დავალების სახითაც მისცეთ.

მოსწავლის მასალა

სკოლა ტყის პირას

ერთ ქვეყანაში მთიანი ქედის განაპირას, ტყის პირას, ხალხი ცხოვრობდა. მათ ისტორია და რელიგია აერთიანებდათ. მეზობელ ქვეყანაში არეულობა იყო. იქ მცხოვრებ ხალხს აიძულეს, დაეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა. ისინი იძულებით დასახლდნენ იქ, სადაც ხალხი ტყის

პირას ცხოვრობდა. გადმოსახლებული ხალხი თავიანთ ქვეყანაში დაბლობზე ცხოვრობდნენ, ამიტომაც მათ ტყის პირას მცხოვრებმა ხალხმა დაბლობიდან მოსულები დაარქვა. ტყის ხალხს დაბლობიდან მოსულებთან ცოტა რამ ჰქონდათ საერთო. მათ ერთმანეთის ენა ესმოდათ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ცუდად იყვნენ განწყობილი. ზოგჯერ, ამ ხალხთა ინდივიდუალურ წარმომადგენლებს შორის უთანხმოება და, პერიოდულად, კონფლიქტებიც კი ხდებოდა.

ერთ დღეს, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ტყის პირას მშენებლობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ტყის ხალხის წარმომადგენელი იყო, მას დაბლობიდან მოსული ადამიანები მოსწონდა და უნდოდა მათ დახმარებოდა. გამოაცხადა, რომ ტყის პირას სკოლას აშენებდა, რომელშიც სწავლას ორივე ხალხის წარმომადგენლები შეძლებდნენ. კაცის აზრით, ამ გზით მოქიშპე ხალხებს შორის მშვიდობა ჩამოვარდებოდა და ორივე კეთილდღეობაში იცხოვრებდა. მალე შენობა მზად იყო. სკოლაში სწავლა ორივე ხალხის შვილებმა დაიწყეს. მშობლები და მასწავლებლები მოვლენებს თვალს დაძაბულები ადევნებდნენ. თავდაპირველად, მოსწავლეებს შორის პრობლემები არსებობდა. ისინი ხშირად კამათობდნენ და ჩხუბობდნენ კიდეც, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბავშვები ერთმანეთს ადვილად უმეგობრდებიან და თანდათანობით მდგომარეობა გამოსწორდა. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი. იგი ორივე ხალხის წარმომადგენლებს ერთნაირად ექცეოდა. ბავშვებს სკოლაში ორივე ხალხის ცხოვრების წესის პატივისცემას ასწავლიდნენ. ტყის პირას მდებარე სკოლის მოსწავლეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამავე დროს, არსებობდნენ ადამიანები რომლებსაც არ სურდათ, რომ მათ შვილებს მეორე ხალხის შვილებთან ერთად ესწავლათ. ისინი იმის მომხრეები

იყვნენ, რომ ორივე ხალხისთვის ცალ-ცალკე სკოლები გახსნილიყო. ამ აზრის მომხრეები განსაკუთრებით ჭარბობდა მათ შორის, ვინც ტყის პირას ცხოვრობდა. ისინი ცდილობდნენ რომ თავიანთი ნაცნობ-მეგობრები დაერწმუნებინათ იმაში, რომ საერთო სკოლაში შვილები არ გაეშვათ. ერთ დილას, როდესაც მოსწავლეები სკოლაში მივიდნენ, მათ სკოლა გადამწვარი დახვდათ. სკოლის ადგილას მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი.

აქტივობა 1:

უნდა აღდგეს თუ არა სკოლა? ქვემოთ მოტანილი არგუმენტებიდან რომელია სკოლის აღდგენის სასარგებლო და რომელი – საწინააღმდეგო?

- მოსწავლეები ტოლერანტულები გაიზრდებიან და მშობლებსაც იგივეს ასწავლიან.
- საერთო სკოლა უფრო მეტად გააღვივებს დაპირისპირებას.
- სკოლა მოეხმარება ადამიანებს, დაძლიონ ბარიერები და ცრურწმენები.
- სკოლის მეგობარი მთელი ცხოვრების მეგობარია, ასე რომ კარგია, როდესაც სხვადასხვა კულტურის ადამიანები ერთად სწავლობენ.
- აზრი არა აქვს. ახალ სკოლას მაინც დაწვავენ.
- საერთო სკოლამ ხალხებს შეიძლება საკუთარი კულტურა დააკარგვინოს.
- მომავალი ახალგაზრდებისაა და მათ უნდა ისწავლონ ერთად ცხოვრება.
- მოსწავლეები სხვა კულტურის პატივისცემას ისწავლიან.
- მასწავლებლებისთვის უფრო ადვილია ისეთ მოსწავლეებთან მუშაობა, რომელთაც საერთო კულტურა

აქვთ.

• მასწავლებელი თავად სწავლობს, როგორ უნდა იყოს უფრო ტოლერანტული განსხვავებული კულტურის მქონე მოსწავლეების მიმართ.

• კიდევ რა? დაამატეთ თქვენი მოსაზრებები.

აქტივობა 2:

ქვემოთ მოტანილი მოსაზრებებიდან, თქვენი აზრით, რომელი უფრო გვასწავლის პატივისცემას სხვა კულტურის მიმართ? დაალაგეთ თანმიმდევრულად.

• სკოლაში სხვადასხვა ეროვნების მასწავლებლები უნდა ასწავლიდნენ.

• მოსწავლეებს უნდა უტარდებოდეთ გაკვეთილები ადამიანის უფლებებზე და ტოლერანტობაზე.

• იმ სკოლების მოსწავლეებმა, სადაც სხვადასვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობენ, საერთო პროექტებში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

• სკოლაში უნდა აღინიშნებოდეს სხვადასხვა ხალხების ეროვნული დღესასწაულები და უნდა იმართებოდეს ხალხური კონცერტები.

• მკაცრად უნდა დაისაჯოს ყველა ის მოსწავლე, ვინც სხვა კულტურის წარმომადგენელს პატივს არ სცემს ან ამცირებს.

• თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს სწავლა უჭირს, მათ განსაკუთრებულად უნდა დაეხმაროთ.

• კიდევ რა? დაამატეთ თქვენი მოსაზრებები.

აქტივობა 3:

თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა აღდგეს სკოლა თუ არა? რა არგუმენტები გაქვთ თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად? თქვენ თვითონ თუ ისწავლიდით ასეთ სკოლაში?

სიტუაცია 2.

არაქართულენოვან მოსწავლეს, სხვა მოსწავლეებთან შედარებით, აქვს დაბალი ენობრივი კომპეტენცია. იგი სწავლობს ქართულ სკოლაში, სადაც სხვა მოსწავლეებისთვის ქართული ენა მშობლიურია. მასწავლებელი დაბალი ენობრივი კომპეტენციის გამო მოსწავლის იზოლირებას ახდენს და არ რთავს მას სასწავლო პროცესში, რასაც შესაბამის ახსნასაც უძებნის: „შენ ხომ ქართულად რამდენიმე სიტყვას ძლივს აბამ ერთმანეთზე“.

მნიშვნელოვანია, ყველა მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ დაბალი ენობრივი კომპეტენცია არ ნიშნავს დაბალი კოგნიტური განვითარების უნარს. ეს არ ნიშნავს, რომ მოსწავლე ვერ აზროვნებს და არ გააჩნია განსჯის უნარი. ასეთ შემთხვევაში, მისი სასწავლო პროცესიდან იზოლირების ნაცვლად, პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ყველა სტრატეგია და რესურსი მაქსიმალურად ინტეგრირებისა და მისი ცოდნის წარმოსაჩენად. მიუხედავად დაბალი ენობრივი კომპეტენციისა, იგი შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოსწავლედ იქცეს, იზოლაცია კი დათრგუნავს და სწავლის მოტივაციას გაუქრობს.

სიტუაცია 3.

მოწვეული სტუმარი

რაიმე კონკრეტული თემის სწავლებისას სტუმრის მოწვევა, აგრეთვე, ეფექტური გზაა სწავლების პროცესში. მოწვეული სტუმარი დამატებით ინტერესს ზრდის მოსწავლეებში, გარდა ამისა, მოსწავლეები ისმენენ იმისგან განსხვავებულ პესპექტივებს, ხედვებს და მიდგომებს, რასაც მასწავლებელი აწვდით. მნიშვნელოვანია, მოწვეული სტუმრის შერჩევისას მისი კულტურული მრავალფეროვნებაც იყოს გათვალისწინებული. შესაძლებელია მოიწვიოთ სტუმარი, რომელიც წარმატებული იყო თავის სფეროში საქართველოში და, ამავე დროს, წარმატებებს მიაღწია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ან სტუმარი, რომელიც, კულტურული იდენტობის თვალსაზრისით, უმცირესობას წარმოადგენს, თუმცა ეს არ გამხდარა დაბრკოლება საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. შესაძლებელია, მოწვეულ იყოს საქართველოში დროებით მაცხოვრებელი პირი და მოსწავლეებს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარი კულტურული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე დანახული და აღქმული ქართული რეალობა.

სიტუაცია 4.

თანატოლთა სწავლება

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანატოლთა სწავლების სტრატეგიას. იგი შეიძლება გამოვიყენოთ

ა) მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური მონაცე-

მების მკვეთრი სხვაობის შემთხვევაში;

ბ) მოსწავლეებში ურთიერთთანამშრომლობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში.

მასწავლებელი ქმნის ორი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფს: ერთი ასწავლის, მეორე სწავლობს. გთავაზობთ ერთ-ერთი მოსწავლის მონათხრობს იმის შესახებ, თუ რა შედეგი გამოიღო თანატოლთა სწავლების სტრატეგიამ:

„მე გამოვიცვალე სკოლა და რუსული სკოლიდან გადავედი ქართულ სკოლაში. თავდაპირველად საკმაოდ დაბნეული, ფაქტობრივად, დაკარგულივით ვიყავი კლასში. როცა მასწავლებელი ახსნას იწყებდა, ვერაფერს ვიგებდი. განსაკუთრებით გამიჭირდა მათემატიკა. მასწავლებელი გვასწავლიდა გაყოფას, მაგრამ დაფაზე ციფრებს და გაყოფის ნიშნებს ისეთი ფორმით წერდა, რომელიც უცხო იყო ჩემთვის და ვერაფერს ვგებულობდი. მე გაყოფისას სხვა მეთოდს ვიყენებდი, მაგრამ რაში იყო განსხვავება, ვერ ვამჩნევდი და ვერც მასწავლებელი ხვდებოდა, რატომ ვერ ვიგებდი და რას მიხსნიდა განსხვავებულად. ერთ-ერთი თანაკლასელი მიხვდა ჩემს გაჭირვებას და თავისებურად, ძალიან მარტივად ამიხსნა, როგორ ასრულებდა გაყოფას. მისი ახსნის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა და აღარასოდეს შემქმნია პრობლემა.. . . “

სიტუაცია 5.

გთავაზობთ რამდენიმე ცხრილს, სადაც მოცემულია აქტივობები (თემებისა და საგნების მიხედვით) მულტიკულტურულ კონტექსტში ბავშვთა ენობრივი განვითარებისა და მიღწევების მონიტორინგისათვის. მასალა ამოღებულია პროექტიდან -*Multilingual Education in Georgia project 2006 – 2008 Annex 1.3.*

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სთ.)	მოსწავლეს შეეძლება - ხილის და ბოსტნეულის მარტივი სახელების ამოკითხვა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით); - ხილის და ბოსტნეულის მარტივი სახელების დაწერა (ილუსტრაციაზე დაყრდნობით); - მოსწავლეს შეეძლება მარტივი წინადადების დაწერა და ამოკითხვა; - მოსწავლეს შეეძლება სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით დასვას მარტივი კითხვები ხილის და ბოსტნეულის შესახებ და უპასუხოს მათ.	**ზეპირმეტყველება**: ეს რა ხილია/ბოსტნეულია? ეს არის . . . მე (არ) მიყვარს . . . რომელი ხილი/ბოსტნეული გიყვარს? **ლექსიკა:** ხილი, ბოსტნეული, ატამი, ბალი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, მანდარინი, ფორთოხალი, სიმინდი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, სტაფილო **(წერისთვის** აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).
ბუნების-მცოდნეობა (1სთ.)	მოსწავლეს შეეძლება - ხილის და ბოსტნეულის გარჩევა; - ხილის და ბოსტნეულის ამოცნობა ნახატზე; - დასახელება, სად იზრდება, რაში	**აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე** საკვები მცენარეები: ხილი და ბოსტნეული. მოსწავლე სამუშაო რვეულში (წიგნში) მიაწერს სურათს სახელს.

	გამოიყენება.	
ხელოვნე-ბა/ შრომა (1სთ.)	მოსწავლეს შეეძლება - ფერების/მასალის შერჩევა; - არატრადიციული მასალის გამოყენება ნამუშევრის შესაქმნელად; - კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენა; - განუვითარდება ხელისა და თვალის კოორდინაცია.	მოსწავლე ხატავს საყვარელ ხილს და ბოსტნეულს და მიაწერს სახელს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს) **ან/და** მოსწავლე აფერადებს სხვადასხვა ფერებად ხილის და ბოსტნეულის ნახატებს და აწერს სახელებს. მოსწავლე წარმოადგენს ნახატს კლასის წინაშე (აჩვენებს და ასახელებს).
ფიზკულ-ტურა (2სთ.)	- სამუშაოს განაწილება გუნდური მუშაობისას; - დახმარების უნარის განვითარება; - სივრცითი ორიენტაცია, - სირბილი.	თამაში №1: “ნახატი-სიტყვა” – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოძებნონ და ერთად დაალაგონ დარბაზში დაფანტული ხილისა და ბოსტნეულის ნახატები და მათი შესაბამისი სიტყვები.

თემა: „ ცხოველები

საგანი	მიზანი	შინაარსი
ქართული ენა (3სთ.+3სთ)	მოსწავლე შეძლებს - ცხოველების და ფრინველების მარტივი სახელების ამოკითხვას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით); - ცხოველების და ფრინველების მარტივი სახელების დაწერას (ილუსტრაციაზე დაყრდნობით); - მარტივი წინადადების დაწერასა და ამოკითხვას; - სურათზე და მასზე მიწერილ სახელზე დაყრდნობით დასვას მარტივი კითხვები ცხოველების და ფრინველების შესახებ და უპასუხოს მათ.	რა არის ეს? ეს არის (თხა, ბუ . . .). ეს რა ცხოველია? ეს რა ფრინველია? ეს არის . . . **ლექსიკა:** ძაღლი, კატა, თაგვი, თხა, ძროხა, ხბო, კამეჩი, ღორი, ცხვარი, იხვი, ბატი, ინდაური, ქათამი, ბეღურა, მერცხალი, ბუ, ჭია, ლომი, მგელი, მელა, არწივი, მაიმუნი, გველი, გედი, სპილო, ძერა, დათვი, ციყვი, კუდი, თათი, ფრთა **(წერისთვის** აქედან აირჩევა სიტყვები იმისდა მიხედვით, თუ რა ასოები აქვთ გავლილი და რა უნდა გაიარონ).

და ფრინველები “

ბუნების-მცოდნე-ობა (1სთ.+1^{სთ})	მოსწავლე შეძლებს □ ცხოველებისა და ფრინველების გარჩევას; □ ცხოველებისა და ფრინველების ამოცნობას ნახატზე; □ მათი სხეულის ნაწილების (კუდის, თათის და ფრთის დასახელებას ილუსტრაციაზე დაყრდნობით); □ შინაური და გარეული ცხოველის/ფრინველის გარჩევას.	**აუცილებელია სწავლება არსებული ნახატების ან ცოცხალი მაგალითების საფუძველზე** ძაღლი, კატა, თაგვი, თხა, ძროხა, ხბო, კამეჩი, ღორი, ცხვარი, იხვი, ბატი, ინდაური, ქათამი, ბეღურა, მერცხალი, ბუ, ჭია, ლომი, მგელი, მელა, არწივი, მაიმუნი, გველი, გედი, სპილო, ძერა, დათვი, ციყვი, კუდი, თათი, ფრთა. შინაური და გარეული ცხოველები.

ფიზკულ-ტურა (2სთ.+2სთ)	- სამუშაოს განაწილება გუნდური მუშაობისას; - კოორდინაცია; - სივრცითი ორიენტაცია, - სირბილი.	თამაში №1: „ლოტო ცხოველებით და ფრინველებით” (სიტყვები). – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად მოძებნონ დარბაზის სხვადასხვა კედელზე დაკიდებული ბარათები სხვადასხვა სახელით, ჩამოხსნან და მიუსადაგონ გუნდისთვის მიცემული ცხოველის ან ფრინველის რამდენიმე ნახატს. თამაში №2: „ლოტო ცხოველებით და ფრინველებით” (ასოები). – გუნდებმა რაც შეიძლება სწრაფად მოძებნონ დარბაზის სხვადასხვა კედელზე დაკიდებული ბარათები სხვადასხვა ასოებით, ჩამოხსნან და შეავსონ გუნდისთვის მიცემული ცხოველის ან ფრინველის რამდენიმე ნახატის ქვეშ არსებული უჯრები.

სიტუაცია 6.

ქალბატონი მარინა ერთ-ერთი სკოლის ქართული ენის მასწავლებელია. იგი ახალი სასწავლო წლის დასაწყებად ემზადება. მან, უპირველეს ყოვლისა, კლასის მოწყობაზე იზრუნა. კლასის მოწყობისას მისი მთავარი მიზანი იყო საკლასო ოთახი გაემზადებინა მოსწავლეთა აქტიური მუშაობისთვის, და არა პასიური სმენისთვის. რადგან ქალბატონი მარინას სკოლა კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა და კლასშიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იქნებოდნენ, მან იყიდა ქართული, აფხაზური, რუსული, ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ანბანი და კედელზე გამოაკრა, ენათა ხესთან ერთად, რომელიც აჩვენებდა მსოფლიოს ძირითადი ენების ფესვებს. ასევე,ქალბატონმა მარინამ კედელზე გამოაკრა წინა კლასის მოსწავლეთა სურათები, რომელიც მათი აქტიური მუშაობის პროცესს გადმოსცემდა.

წელს ქალბატონი მარინა ახალ კლასში შედის, სადაც 24 მოსწავლე იქნება. მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ეთნიკური წარმომავლობით, ასევე, ენით, სოციალური მდგომარეობით და წინა წლების აკადემიური მოსწრებით. სასწავლო წლის დაწყებამდე ქალბატონმა მარინამ კარგად შეისწავლა თითოეული მოსწავლის სასკოლო ისტორია. მას კარგად ესმოდა, რომ მოსწავლეთა განსხვავებულობა ნიშნავდა მათ განსხვავებულ სწავლის სტილსა და განსხვავებულ ინტერესებს. შესაბამისად, მას უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა მოსწავლის ინტერესი, რაც აშკარად გამოწვევა იყო მისი პროფესიული საქმიანობისთვის.

<u>სასწავლო წლის პირველი კვირა</u>

ქალბატონმა მარინამ პირველი ორი კვირა საინტერესო და მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნას დაუთმო. პირველი გაკვეთილის დასრულების შემდეგ მან სთხოვა მოსწავლეებს,მეორე დღისთვის მშობლებთან ერთად მოემზადებინათ საკუთარი სახელებისა და გვარების ისტორიები. აგრეთვე, სთხოვა მოსწავლეებს, გაერკვიათ, თუ ჰქონდათ მათს სახელებს რამე მნიშვნელობა სხვა ენაზე. „ხვალინდელ დღეს ჩვენ დავიწყებთ ერთმანეთის ინტერვიუებით, რათა გამოვცეთ გაზეთი ჩვენი კლასის შესახებ“- განუცხადა მან მოსწავლეებს.

მეორე დღეს ქალბატონმა მარინამ გაკვეთილი მოსწავლეთა დაწყვილებით დაიწყო. დაწყვილების პრინციპად მოსწავლეთა დაბადების დღეები აირჩია: მოსწავლე წყვილდებოდა იმ მოსწავლესთან, რომლის დაბადების დღეც მის დაბადების დღესთან ყველაზე ახლოს იყო. მოსწავლეთა დაწყვილების შემდეგ ქალბატონმა მარინამ მათ კითხვების ჩამონათვალი გააცნო, რომელიც ერთმანეთთან ინტერვიუს დროს უნდა გამოეყენებინათ:

1. რა გქვია? რა მოგწონს ან არ მოგწონს შენს სახელთან დაკავშირებით?
2. როგორ დაგარქვეს ეს სახელი? ვის საპატივსაცემოდ დაგარქვეს? ვინ დაგარქვა?
3. შენი ოჯახის რომელიმე წევრს თუ ჰქვია იგივე სახელი?
4. გყავს მეგობარი, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია?
5. არის ვინმე ცნობილი ადამიანი,ვინც იმავე სახელს ატარებს?
6. მოგწონს ის ადამიანები,ვისაც შენი სახელი ჰქვია? მაგალითად...
7. შენს სახელს რამე სხვა მნიშვნელობა თუ აქვს?

8. საიდან წარმოიშვა შენი სახელი? სხვა ენაში თუ არის შენი სახელი და როგორ გამოითქმის ის?
9. ოჯახში რას გეძახიან? გაქვს რამე მეტსახელი?
10. რა გირჩევნია დაგიძახოთ, შენი სახელი თუ მეტსახელი, რომელსაც ოჯახში გეძახიან?

მოსწავლეებმა ერთმანეთთან ინტერვიუებს თხუთმეტი წუთი დაუთმეს, რის შემდეგაც ქალბატონმა მარინამ მათ სთხოვა, მოეთხროთ მთელი კლასისთვის ის, რაც მეწყვილეზე შეიტყვეს. მოსწავლეთა მონათხრობს მასწავლებელი აქტიურად ინიშნავდა, რათა არ გამორჩენოდა რამე მნიშვნელოვანი დეტალი. ბოლოს ქალბატონმა მარინამ აიღო ფოტოაპარატი და თითოეულ მოსწავლეს დაფაზე დაწერილი მისივე სახელის ფონზე გადაუღო სურათი, რათა კლასის გაზეთში განეთავსებინა.

შემდეგ გაკვეთილზე ქალბატონმა მარინამ სთხოვა მოსწავლეებს, გაერკვიათ, თუ რამდენ ენაზე შეეძლოთ კლასში მყოფ მოსწავლეებს საუბარი. აღმოჩნდა, რომ ყველა ბავშვი ლაპარაკობდა ქართულად და ინგლისურად. თუმცა ცალ-ცალკე შეეძლოთ ესაუბრათ აფხაზურად, ოსურად, რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ფრანგულად და უკრაინულად. რადგან საკლასო ოთახში ენათა ასეთი მრავალფეროვნება იყო წარმოდგენილი, ქალბატონმა მარინამ შესთავაზა მოსწავლეებს, ჩამოეთვალათ ის სიტყვები, რომლებიც საერთო იყო ქართულისთვის და რომელიმე სხვა ენისთვის, რომელზეც კლასში რომელიმე მოსწავლე საუბრობდა. ამ სავარჯიშომაც ძალიან გაახალისა მოსწავლეები, აღმოაჩინეს ძალიან ბევრი საერთო სიტყვა, მაგალითად:

ქართულ-სომხური საერთო სიტყვები:

თოკი, ხაზი, წესი, ჩიტი, კენჭი, ბღავილი, თოხი, ოჯახი, დროშა ჭეშმარიტება...

ქართულ-აზერბაიჯანული: *ხალხი, თარიღი, ფანჯარა,*

ჯამი, ფასი,სალამი, ჩაი, ხალი, ფული, ჯიბე, მეიდანი, ბულ-ბული...

ერთ-ერთ მოსწავლეს გაუჩნდა იდეა, „ნასესხები სიტყვების ლექსიკონი“ შეექმნათ, რომელზეც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებდა მთელი კლასი.

მომდევნო გაკვეთილი მთლიანად კლასის გაზეთის შექმნას დაეთმო. გარდა გაფორმებისა და ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის გადატანისა, მასწავლებელმა მათ სთხოვა, ისეთი იგავ-არაკი გაეხსენებინათ, რომელიც გაზეთის შუაგულში განთავსდებოდა და ყველაზე მეტად ასახავდა კლასში არსებულ სიტუაციას (მრავალფეროვნების კონტექსტს). მოსწავლეებმა შემდეგი იგავ-არაკი გაიხსენეს და ჩაწერეს გაზეთის შუაგულში:

იგავ-არაკი

ერთ სახლში ცხოვრობდა კატა,რომელიც ვერასოდეს ახერხებდა თაგვის დაჭერას. ერთ დღესაც გამოეკიდა თაგვს და ის-ის იყო, უნდა დაეჭირა, რომ თაგვმა პატარა ხვრელში შეძვრომა მოასწრო და კატას აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დამჯდარიყო იმ პატარა ხვრელთან და დალოდებოდა, როდის გამოძვრებოდა თაგვი. უცაბედად თაგვს ძაღლის ხმა მოესმა და იფიქრა, რომ რადგან ძაღლი სახლში იყო, კატა გაიქცეოდა და აღარ დაიწყებდა ხვრელთან ლოდინს. შესაბამისად, თაგვი ხვრელიდან გამოძვრა და მოულოდნელად კატის კლანჭებში ამოყო თავი. „კი, მაგრამ ძაღლი სად არის?“ – იკითხა აკანკალებულმა თაგვმა. „ძაღლი კი არა, ეს მე ვიყავი, ძაღლივით დავიყეფე, რომ შენ დაიმედებული გამომძვრალიყავი ხვრელიდან,“- გადაიხარხარა გამარჯვებულმა კატამ და შემდეგ დაამატა,- „ჩემო კარგო, თუ სულ მცირე ორ ენაზე არ ლაპარაკობ, დღევანდელ დღეს ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევ.“

შაბათ-კვირას ქალბატონმა მარინამ ისევ ჩახედა მო-

სწავლეთა ისტორიებს, იმ გაკვეთილის ჩანაწერებს, მოსწავლეებმა საკუთარი სახელების შესახებ ინტერვიუები რომ გააკეთეს, აგრეთვე ნახა იმ გაკვეთილის ჩანაწერები, სადაც მოსწავლეები საკუთარის ენის ცოდნის შესახებ საუბრობდნენ. ამ სამ წყაროზე დაყრდნობით, ქალბატონმა მარინამ შეადგინა კლასის ლინგვისტური რეპერტუარის სქემა.

<u>*სასწავლო წლის მეორე კვირა*</u>

შემდეგ კვირას, ქალბატონმა მარინამ გადაწყვიტა, კლასში სტუმარი მოეყვანა. სტუმრობის სურვილი ერთ-ერთი მოსწავლის ბაბუამაც კი გამოთქვა და მომდევნო დღეს ესტუმრა ქართული ენის გაკვეთილზე. მან უამბო მოსწავლეებს საკუთარი ოჯახის ჰისტორია. მისი ოჯახი იძულებული იყო, 1921 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, გადასახლებულიყო საფრანგეთში და იქ გაეგრძელებინა ცხოვრება. სტუმარმა გააცნო ბავშვებს მათი ოჯახის ფრანგული ცხოვრების დეტალები; მოუყვა, როგორ გახდა მისი საქართველოდან დევნილი ბაბუა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი; რას მოღვაწეობდნენ მამამისი და თვითონ საფრანგეთში და რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მათი ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრირება. მოწვეული სტუმრის მონათხრობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე.

ამ მაგალითში ჩანს რამდენიმე სტრატეგია, რომელიც ქალბატონმა მარინამ ჯანსაღი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გამოიყენა. ეს დაეხმარა, რომ გაცნობოდა მოსწავლეებს, მოსწავლეებიც გაცნობოდნენ ერთმანეთს და ამის მიხედვით დაესახა თითოეულ მოსწავლესთან მუშაობის გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურა

ზაალ კიკვიძე, სოციოლინგვისტიკურ ტერმინთა გლოსარიუმი, ქუთაისი, 2008;

გ. რამიშვილი, დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება. თბილისი, 2000.

განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; პირველი ნაწილი; ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი; თბილისი, 2007;

განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; მეორე ნაწილი; ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი; თბილისი, 2008;

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში; ენობრივი მრავალფეროვნებიდან – მრავალენოვან განათლებამდე; თბილისი, 2008.

პადრაიგ ო' რიაგენი, ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება: ძირითადი სტრატეგიული ამოცანები; თბილისი, 2008.

Abdallah-Pretceille M., 1999, L'éducation interculturelle, Paris, PUF.

Aguirre, Jr. A & Martinez, R. O. (2006).Diversity leadership in higher education, ASHE higher education report, 32 (3).

Anderson, K. S., Macphee, D. & Govan D. (2000). Infusion of multicultural issues in curricula: A students Perspective. Innovative Higher Education, 25 (1), 37-57.

ASHE Report (2005). The challenge of diversity.

Bennett, M. (1993). Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity. In M. Paige (Ed.), Education for the intercultural experience (pp. 21-71). Yarmouth, ME: Intercultural Press.

Cushner, K,,McClelland A.,& Safford, P.(2006) Human Diversity in Education, an integrative approach.

Carter, R.T. & Goodwin, A.L., (1994). Racial identity and education. Review of Research in Education. Washington, DC: AERA, 291-336.

Diversity Within Unity: Essential Principles for teaching and Learning in a Multicultural Society"(by James A.Banks,Peter Cookson,Geneva Gay,Willis D.Hawley,Jacquiline Jordan Irvine,Sonia Nieto,Janet Ward Schofield,&Walter G.Stephan).Phi Delta Kappan,83(3),pp 196-203.

Flye Sainte Marie A., Schneider B., 2004, Penser/Agir. Dynamiques interculturelles au coeur de la ville, L'Harmattan/ Forum IRTS de Lorraine.

Fishman, J. A. Sociolinguistic Perspective on the Study of Bilingualism. Linguistics, 39, 1968.

Baker, C. & Prys Jones, S. Encyclopedia of Bilingualism and Bilingual Education. Clevedon,UK: Multilingual Matters, 1998.

Gurin, P., Dey, E., Hurtado, S., & Gurin, G. (2002). Diversity and higher education: Theory and impact on educational outcomes. Harvard Educational Review, 72(3), 330-366.

Hyun, E. (2006). Teachable Moments, reconceptualizing curricula understandings.

Kagia R., (2006). Securing the future through education: A tide to lift all boats.Global issues for global citizens. Washington, D.C.World Bank,187-200.

Kegan, R. (1994). In over our heads: The mental demands of modern life. Cambridge, MA: Harvard University Press.

King, P., & Magolda, M. B.(2005). A developmental model of intercultural Maturity. Journal of College Student Development, 46 (6), 571-592.

Mayhew, J. M. & Grunwald, E. H. (2006). Factors contributing to faculty incorporation of diversity-related course content. The Journal of Higher Education, 77 (1), 148-168.

Milem, J. F., & Hakuta, K. (2000). The benefits of racial and ethnic diversity in higher education. In D. Wilds (Ed.), Minorities

in higher education: Seventeenth annual status report (pp. 39-67). Washington, DC: American Council on Education.

Page M., 1993, Courants d'idées actuels en éducation des clientèles scolaires multiethniques, Québec, Conseil supérieur de l'éducation, coll. Études et recherches.

Socrates Comenius Publication (2002). A Practical Guide To Implement Intercultural Education at Schools.

The National Council for Curriculum and Assessment of Ireland (2005). Intercultural Education in the Primary Schools.

Spring J. (1998). Education and the rise of global economy, Lawrance Erlbaum Associates.

Umbach, P.D. & Kuh, D.G. 2005) Student experiences with diversity at liberal art colleges: Another claim for disticnevness. The Journal of Higher Education, 77 (1), 169-192.

Zuniiga, X., Williams, E., & Berger, J. (2005). Action-oriented democratic outcomes: The impact of student involvement with campus diversity. Journal of College Student Development. 46 (6), 660-678.